ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 615

“19” დეკემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წინანდლის შესახვევის №11-ის მიმდებარედ არსებული 204 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.130.104) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრისთვის“ (ს/ნ. 405247950) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, წინანდლის შესახვევის №11-ის მიმდებარედ არსებული 204 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.130.104) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრისთვის“ (ს/ნ. 405247950) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 6 დეკემბრის №23.1851.2052 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, წინანდლის შესახვევის №11-ის მიმდებარედ არსებული 204 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.130.104) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრისთვის“ (ს/ნ. 405247950) უსასყიდლო უზუფრუქტის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, მოვლა-პატრონობის მიზნით.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე